ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 188 (19929) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 13 აგვისტოს გამართულ სხდომაზე განხილა ქიმიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პრიორიტეტული მიმართულებების დაჩქარებული განვითარების საკითხი. აღინიშნა, რომ ქიმია უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. მისი მიღწევები ფართოდ ინერგება მანქანათმშენებლობაში, ენერგეტიკაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, ბევრ დარგში, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ. დასახულია ამოცანა მეცნიერული კვლევის ყოველმხრივი განვითარების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის საფუძველზე დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი თანამედროვე მაღალხარისხოვან ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებზე.

ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულია ფუნდამენტური და გამოყენებითი ქიმიური კვლევის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი. მათი რეალიზაცია უზრუნველყოფს დარგობრივი მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაობის ეფექტიანობის არსებითს ზრდას და პრაქტიკაში პრინციპულად ახალი დიდეკონომიკური წარმოებების დანერგვას. გათვალისწინებულია შეიქმნას ახალი თაობის საკონსტრუქციო და საკომპოზიციო მასალები, სხვა ქიმიური პროდუქტები, რომლებსაც არსებულზე მნიშვნელოვნად უკეთესი თვისებები ექნებათ. გათვალისწინებულია ფართოდ გამოვიყენოთ მიღწეული შედეგები სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გაფართოებისათვის, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, ქიმიურ წარმოებათა უსაფრთხოების გაზრდისათვის და გარემოზე მათი მავნე ზემოქმედების შემცირებისათვის. დასახულია გამოვიყენოთ მეცნიერების ორგანიზაციისა და მისი ნამუშევრების დანერგვის ახალი ფორმები, ავამაღლოთ ქიმიური პროფილის სპეციალისტთა მომზადების დონე.

პოლიტბიუროს მხარი დაუჭირა იმ წინადადებას, რომ გამოიცეს ფუნდამენტური ათტომიანი ნაშრომი „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“. მისი მომზადება დაევალათ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიას და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს.

მოიწონეს დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი ის არის, რომ არ დაუშვან ქვეყანაში შიდსის გავრცელება, და გაღრმავდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სენთან ბრძოლაში.

„განიხილა რა ენენევაში ე. ა. შევარდნაძის ჩასვლის საკითხი, პოლიტბიუროომ დადებითი შეფასება მისცა მის შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაიზარდოს ენენევის განაიარაღების კონფერენციის როლი და პერსპექტივაში გადაიქცეს მუდმივმოქმედ უნივერსალურ ორგანოდ განიარაღების საკითხებზე მოლაპარაკების სისტემაში. პოლიტბიუროომ განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა აქტუალურია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორი კლასის ბირთვული იარაღის — საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, ამასთან ყველა ბირთვული ქობინის, მათ შორის „პერშინგ-1 ა“ დასავლეთგერმანული რაკეტების ქობინების მოსპობის შესახებ მორიგების მიღწევა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

შრომითი ქრონიკა

ᲥᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲥᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ნახევარ საუკუნეზე მეტია მეგობრობენ ჭიათურელი და უკრაინელი მაღაროელები. მათ შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას ბევრი სიკეთე მოუტანია ორივე მხარისათვის. ამ დღეებში ჭიათურიდან კიდევ ერთი დელეგაცია ესტუმრა ქ. მარგანეცს. მეგობრებმა შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას, ერთმანეთის გაუზიარეს გამოცდილება.

უკრაინელ მეგობრებს ჭიათურელთა წარმომადგენლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს თანადგომისა და დახმარებისათვის — მათ ხომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მოპოვებული ფულადი პრემია 3098 მანეთი მთლიანად გადმორიცხეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ჭიათურელ მშრომელთა დასახმარებლად.

ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲣᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲡ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). ოდითგანვე ქართველი მთიელები ცხვარს წველიდნენ და ძვირფას გუდის ყველს ამზადებდნენ, რომელსაც გემოთი და ცხიმიანობით ბადალი არ მოეძებნება. ერთ დროს ეს მამაპაპური ტრადიცია აქ დაივიწყეს. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ერობაშად აიღეს ხელი ცხვრის წველასა და ყველის დამზადებაზე, რადგან ეს მძიმე, შრომატევადი სამუშაოა.

ამ ფაქტს ჩაუფიქრდნენ დუშეთის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები. გადაწყვიტეს გზა გაუხსნან რძის წარმოების ძვირფას რეზერვს. შარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად მოეწყო ცხვრის წველა და ყველის დამზადება. დამზადდა 20 ტონაზე მეტი გუდის ყველი, რომლის შესასყიდი ფასი ორნახევარჯერ მეტია ძროხის ყველთან შედარებით. ყველაზე მეტი ოდენობის გუდის ყველი დაამზადეს გუდამაყრისა და ფასანაურის კოლმეურნეობებმა. და არა მარტო იმიტომ, რომ აქ მეტი ცხვარი ჰყავდათ, არამედ იმიტომ, რომ საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ, სწორად მოაწყვეს ცხვრის წველა. რაიონში პირველად განხორციელდა აგრეთვე ცხვრის მექანიზებული წველა.

— წელს მეცხვარეებს სტიქიასთან ძნელ პირობებში უხდებათ ჭიდილი. თვით ყიზლარში გაზაფხული სუსხიანი იყო. მშობლიურ მთებში კი ახლა გამუდმებით წვიმს, და სიცივე ძვალსა და რბილში ატანს, მაგრამ მამაცი მეცხვარეები არ შედრკნენ, კვლავ წარმატებით განაგრძობენ ცხვრის წველას. სეზონში დავამზადებთ არანაკლებ 30 ტონა ცხიმით მდიდარ გემრიელ ყველს, — მეცხვარეთა სახელით განაცხადა დუშეთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ იაკობ ნაზღაიძემ. ეს მეცხვარეთა საოქტომბრო ნობათი იქნება.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ სამეურნეო წლის სეზონისათვის სამზადისი ცხაკაიას ჩაის ფაბრიკების გაერთიანებაში ჩინებულად წარმართა. ეს საუშაოები მიმდინარეობდა ძირითადად ახალი ტექნიკის დანერგვისა და ტექნოლოგიური განახლების მიმართულებით. დაიდგა ახალი ტიპის მანქანები, 15-20 ტონით გაიზარდა გაერთიანების სადღეღამისო მწარმოებლობა.

ყველა ბრიგადა, უბანი, საამქრო ერთიანი ძალით ჩაება საიუბილეო შეჯიბრებაში დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ნახევარი წლის შედეგების მიხედვით თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული. ამ პერიოდში გეგმით უნდა გამოეშვათ 5128 ათასი მანეთის პროდუქცია, ოქტომბრივად კი დამზადდა 5325 ათასი მანეთისა. რეალიზაციის გეგმა 119,7 პროცენტით შესრულდა.

რ. მეგრელიშვილი.

ᲥᲔᲓᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲛᲗᲐ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

ᲥᲔᲓᲘᲡ რაიონის მეჩაიეებმა, რომლებიც ჩაბმულნი არიან ოქტომბრის რევოლუციის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 11 აგვისტოსათვის მოკრეფეს 1309 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით გადამეტებთ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ამ პროდუქციის მიყიდვის წლევანდელი დავალება. აქაურმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე კიდევ დაამზადონ 150-200 ტონა ნედლეული.

„კომუნისტის“ კორ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ 2000 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი დიდი სოციალური პროგრამების რეალიზაციას ითვალისწინებს. პარტიასა და სახელმწიფოს უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიათ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და გაკაჟება, მათი სიცოცხლისა და შემოქმედებითი აქტიურობის გახანგრძლივება, სამედიცინო დახმარების ხარისხის კარდინალური გაუმჯობესება.

ჯანმრთელობა თითოეული ადამიანის სიკეთე და ბედნიერებაა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უცილობელი პირობაა. თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა შეესაბამება ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, სოციალისტური საზოგადოების აყვავების დღევანდელ მიზნებს ემსახურება, საფუძველს უყრის მის მომავალ ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ძირეულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებს, რომლებიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის ყველაზე საარსებო და სანუკვარ მისწრაფებებს. პირველად ისტორიაში სახელმწიფომ აკისრა პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, გარანტირებული გახადა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ყველა ეკონომიკური, სოციალური და სამედიცინო ღონისძიების კანონმდებლური, ორგანიზაციული და მატერიალური უზრუნველყოფა.

სსრ კავშირში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ნამდვილად საერთო-სახალხო სისტემა, რომელსაც საფუძვლად უძევს უსასყიდლო და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების, პროფილაქტიკის, მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობის, გამჯანსაღებელ ღონისძიებებში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის ლენინური პრინციპები. ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ეს სისტემა საიმედოდ უზრუნველყოფდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და ქვეყნის სანიტარიულ კეთილდღეობას.

საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის გეგმების თანამიმდევრული განხორციელების, ავადმყოფობათა პროფილაქტიკის დიდი მასშტაბის სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელების, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების განვითარების შედეგად კარდინალურად გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სამჯერ და მეტად შემცირდა საერთო და 11-ჯერ — ბავშვთა სიკვდილიანობა, ერთიორად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოისპო ბევრი საშიში ინფექციური დაავადება. დღენიადაგ მცირდება მშრომელთა შორის საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადების, ინვალიდობის დონე.

სოციალიზმის უდავო მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სოციალური ერთგვაროვნობის მტკიცე ტენდენციაც. ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესება, სიკვდილიანობის შემცირება, შემოქმედებითი ცხოვრების გახანგრძლივება დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის, ყველა ეროსა და ეროვნებისათვის. ბევრმა ხალხმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე კინაღამ გადაშენდნენ, ახლა ჯანმრთელობის დონის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა გადაიქცა სოციალური სფეროს დიდ დარგად. აშენდა და აღიჭურვა ათიათასობით პოლიკლინიკა, საავადმყოფო, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურები, საბავშვო დაწესებულებები, ასობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სასწავლებელი. შეიქმნა დედისა და ბავშვის დაცვის სისტემა, სანატორიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ფართო ქსელი. დარგში მუშაობს 1,3 მილიონი ექიმი და 3,3 მილიონი საშუალო სამედიცინო მუშაკი. ძირფესვიანად შეიცვალა სამედიცინო დახმარების დონე და ხასიათი. სამეცნიერო, საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალის ზრდა შესაძლებლობას გვაძლევს მოსახლეობა უზრუნველვყოთ არა მარტო საერთო-საექიმო, არამედ სპეციალიზებულ სახეობათა სამედიცინო დახმარებითაც.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის შთამბეჭდავმა მიღწევებმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. მისი პრინციპები, პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების ორგანიზაციის სისტემა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ნიმუშად ეროვნული სამსახურების შექმნისათვის.

მიღწეული წარმატებანი მოწმობს, თუ რა უდიდესი უპირატესობანი და შესაძლებლობანი აქვს სოციალისტურ საზოგადოებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემათა გადაჭრაში. მაგრამ, როგორც ობიექტური ანალიზი მოწმობს, ამ შესაძლებლობებს მთლიანად ვერ ვიყენებთ. სამოცდაათიან წლებში და ოთხმოციანი წლების დამდეგს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში თავი იჩინა და იმატა ნეგატიურმა ტენდენციებმა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი ყურადღების შესუსტებას მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების წილის შემცირება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების, ახალი წამლებისა და მკურნალობის მეთოდების ათვისების პროცესების შენელება. სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის ნაკლოვანებებმა და მისადმი კონტროლის და მომთხოვნელობის შესუსტებამ, ჯანმრთელობის დაცვის ხარვეზებმა სერიოზული შეცდომები გამოიწვია დარგის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, ცალკეული სამსახურების განვითარების პროპორციების განსაზღვრაში. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის შეფასების ჩამოყალიბებული წესი ორიენტირებული არ არის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებაზე.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შორის გავრცელდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, გულქვაობა, უსულგულობა, უხეშობა, პროფესიული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. ზნეობრივი ტესობანი და შესაძლებლობანი აქვს სოციალისტურ საზოგადოებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემათა გადაჭრაში. მაგრამ, როგორც ობიექტური ანალიზი მოწმობს, ამ შესაძლებლობებს მთლიანად ვერ ვიყენებთ. სამოცდაათიან წლებში და ოთხმოციანი წლების დამდეგს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში თავი იჩინა და იმატა ნეგატიურმა ტენდენციებმა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი ყურადღების შესუსტებას მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების წილის შემცირება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების, ახალი წამლებისა და მკურნალობის მეთოდების ათვისების პროცესების შენელება. სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის ნაკლოვანებებმა და მისადმი კონტროლის და მომთხოვნელობის შესუსტებამ, ჯანმრთელობის დაცვის ხარვეზებმა სერიოზული შეცდომები გამოიწვია დარგის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, ცალკეული სამსახურების განვითარების პროპორციების განსაზღვრაში. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის შეფასების ჩამოყალიბებული წესი ორიენტირებული არ არის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებაზე.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შორის გავრცელდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, გულქვაობა, უსულგულობა, უხეშობა, პროფესიული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. ზნეობრივი

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

I. ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲖᲘᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ჯანმრთელობის დაცვის ყველა ეტაპზე პროფილაქტიკა იყო და კვლავ არის მისი ფუძემდებელი პრინციპი, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის იდეოლოგია. იგი არსებითად წარმოადგენს არა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საქმიანობის ვიწრო უწყებრივ განყოფილებას, არამედ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, გარემოს დაცვა, საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების, ჯანმრთელობისათვის არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებისადმი ადამიანის ორგანიზმის მედეგობის გაუმჯობესება, აგრეთვე იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უწყობენ მათს წარმოქმნას.

უეჭველია, რომ საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებში პროფილაქტიკა დიდ როლს ასრულებს. ამავე დროს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საკავშირო პროფსაბჭო, სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები პროფილაქტიკური მიმართულების შესაძლებლობებს ჯერ კიდევ ვერ იყენებენ საკმარისად. პროფილაქტიკა დეკლარაციული ხასიათისაა და არ თვალისწინებს ფართო გამჯანსაღებელ ღონისძიებებს.

რიცა მასშტაბური ბუნებადაცვითი ღონისძიებების განხორციელებას მასობრივი პროფილაქტიკური შუშაობის საკადებულო პირობად მივიჩნევთ, პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დასახლებული რაიონებიდან საწარმოთა გადატანას, გარემოს გაჭუჭყიანების წყაროს რომ წარმოადგენენ, უნარჩენო და მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის დანერგვას, ისეთი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, რომლებიც გამორიცხავენ მავნე გამონაფრქვევებს. არ უნდა დავუშვათ საწარმოების ექსპლოატაცია სანიტარიულ-დამცავი ზონების შეუქმნელად. ყველგან უზრუნველყოთ მოსახლეობა ხარისხიანი სასმელი წყლით, განვახორციელოთ საპაერო აუზის მდგომარეობის ნორმალიზაცია გადაუდებელი ღონისძიებანი მისი გაჭუჭყიანების რეგიონში. შემოვიღოთ უფრო მკაცრი ეკონომიკური სანქციები იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.

ბუნებადაცვით ღონისძიებათა განხორციელებაში არსებითად უნდა გაიზარდოს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს როლი.

იგი მოვალეა სათავეში ჩაუდგეს გარემოს გაჭუჭყიანებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას და ეს მუშაობა პროფილაქტიკური საქმიანობის ერთ-ერთ უპირველეს მიმართულებად მიიჩნიოს. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებმა უფრო მტკიცედ უნდა გამოიყენონ არსებული სამართლებრივი ბერკეტები ნიადაგის, წყალსატევებისა და საჰაერო აუზის სანიტარიული დაცვის კანონმდებლობის მკაცრად დაცვის ინტერესებისათვის.

გავზარდოთ სანიტარიული ზედამხედველობის ქმედითობა იმისადმი, რომ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იცავდნენ სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდემიის საწინააღმდეგო წესებსა და ნორმებს. ამ მიზნით გავუძლიეროთ კონტროლი დარგობრივი და ტერიტორიული პროგრამების „ჯანმრთელობის“ შესრულებას, რათა შევამციროთ საწარმოო ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადება, ხელის შრომისა და ჯანმრთელობისათვის არახელსაყრელი საწარმოო ფაქტორების მქონე სამუშაო ადგილების წილი, გავათავისუფლოთ ქალები ძნელ უბნებზე ფიზიკური მუშაობისაგან, აგრეთვე გავაუმჯობესოთ უსაფრთხოების ტექნიკა და მშრომელთა დასვენების პირობები.

საჭიროდ მივიჩნიოთ, რომ კოდიფიცირებული იყოს ერთიანი აქტით სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა სსრ კავშირის ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

პროკურატურისა და სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიის საწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევათა ფაქტების გამოვლენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი, უფრო აქტიურად გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სამედო დაცვის მიზნით, ამასთან ბრალეულთა დაკისრონ დადგენილი წესით მატერიალური, დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

განამკაცრონ ზედამხედველობა და მომთხოვნელობა სასურსათო პროდუქტების დამზადების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით გულდასმით გააკონტროლონ მინერალური სასუქების, პესტიციდების და სხვა ქიმიური საშუალებების გამოყენება, რათა გამორიცხონ ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო უარყოფითი გავლენა.

მეტი კონტროლი გაუწიონ სასურსათო პროდუქტების გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის პროცესებს. არ დაუშვან, რომ ტექნოლოგიის მოთხოვნათა დარღვევით აწარმოებდნენ სასურსათო პროდუქტებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმატივებს. კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტები შეუსაბამონ მეცნიერულად დასაბუთებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაყრონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვას, რათა გამორიცხონ უხარისხო პროდუქტების ხმარებით გამოწვეული მასობრივ დაავადებათა ყოველგვარი შესაძლებლობა.

მხედველობაში მივიღოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის შეწონასწორებულ, სრულფასოვან კვებას და თანამიმდევრობით გახანგრძლივოთ სასურსათო პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი. სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტებში შევიტანოთ მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს სასურსათო პროდუქტების კვებითს და ბიოლოგიურ ღირებულებებს. გავზარდოთ მეტი ბიოლოგიური ღირებულებების მქონე პროდუქტების წარმოება, რომლებიც შეიცავენ ნაკლებ ცხიმს, შაქარს, მარილს, აგრეთვე გამოვუშვათ მცენარეული ცხიმები, დიეტური, ვიტამინული და ცილოვანი პროდუქტები. 1991 წლისათვის მთლიანად დავაკმაყოფილოთ ადრეული ასაკის ბავშვთა მოთხოვნა თხევად ჰასტისებრ რძის ნაწარმზე, საბავშვო კონსერვებზე, სხვა ადაპტირებულ რძის ნარევებზე.

ამასთან აქტიურად უნდა ვეუწოდეთ სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას კვების კულტურის ამაღლებისათვის, რათა ულუფის რაოდენობა და კალორიულობა შეესაბამებოდეს ორგანიზმის ენერგეტიკულ დანახარჯებსა და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს.

პროფილაქტიკურ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს თითოეული ადამიანის და მთელი საზოგადოების ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ჯანმრთელობისადმი, როგორც საერთო-სახალხო სიმდიდრისადმი შეგნებული და პასუხისმგებლური დამოკიდებულება ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის ნორმა უნდა გახდეს. ეს გულისხმობს მავნე ჩვევების აღმოფხვრას, ურთიერთობის, ქცევის, კვების კულტურის ჩამოყალიბებას, შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვას, სისტემატურ ვარჯიშს, საერთო სანიტარიული კულტურისა და ჰიგიენური ცოდნის დონის ამაღლებას, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას.

ამ მიმართულებით გამიზნული მუშაობა ბავშვობიდან უნდა დავიწყოთ. უნდა გაიზარდოს ოჯახის როლი და პასუხისმგებლობა ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და გაჯანსაღების საქმეში, უკეთ შევასწავლოთ მშობლებს ბავშვების ჰიგიენური აღზრდისა და მათი მოვლის წესები. განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა ფართოდ დაინერგოს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში ბავშვების გაჯანსაღებისა და ყოველმხრივი განვითარების თანამედროვე მეთოდები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ მოზარდი თაობის ჰიგიენური აღზრდის პროგრამა, აქტიურად იღვაწონ, რათა შეიქმნან ახალგაზრდობას ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩამოყალიბების პირობები. აუცილებლად მოაწყონ გამჯანსაღებელი ღონისძიებები სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, პიონეროთა

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის

ძირითადი მიმართულებები

(დასაწყისი)

ბანაკებსა და დედათა და ბავშვთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებში, შექმნან სანატორიული ტიპის სპეციალური სასკოლო დაწესებულებები ბავშვებისათვის, რომლებიც დასუსტებული არიან და ხშირად ავადმყოფობენ.

ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა მოითხოვს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის ეტაპიც გააქტიურებას, ამ მიზნებისათვის ეფექტიანი სამკურნალო საშუალებების შექმნას. უნდა გავაძლიეროთ სანატარიული პროპაგანდის შეტევითობა, დამაჯერებლად და გასაგებად განვუმარტოთ მოსახლეობას სპირტიანი სასმელების, ნარკოტიკული ნივთიერებების, ხმარებით გამოწვეული ზიანი. 1988 წელს შევიმუშაოთ თამბაქოს წევის დაძლევის პროგრამა, გავითვალისწინოთ მასში სამედიცინო სამართლებრივი, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების ფართო კომპლექსი.

შევიმუშაოთ და 1989 წელს დაენერგოთ მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის ერთიანი პროგრამა, ამასთან განვსაზღვროთ მეცნიერულად დასაბუთებული ნორმები და მოთხოვნები სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ფიზიკური მომზადებისა და აქტიური მოძრაობისადმი.

მეთორმეტე-მეცამეტე ხუთწლედებში ზოგადსაგანმათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შემოვიღოთ ფიზიკური აღზრდის დამატებითი გაკვეთილები, რათა სკოლის გარეშე მეცადინეობის გათვალისწინებით მოსწავლეთა და სტუდენტთა მოძრაკი დატვირთვა შეადგენდეს სულ ცოტა 6-8 საათს კვირაში. გავაფართოოთ სპორტული სექციების ქსელი საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. საცხოვრებელ ადგილებში შექმნათ სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანებები „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა". გავზარდოთ სპორტულ-გამოჯანსაღებელ ნაგებობათა გამოყენების ეფექტიანობა. პროფკავშირებისა და მრომითი კოლექტივების სახსრების ხარჯზე (მათი თანხმობით) შევქმნათ ჯანმრთელობის ცენტრები, მათ შორის სამეურნეოანგარიშიან საფუძველზე, და ფართოდ გამოვიყენოთ ფიზიკური წვრთნის, ფსიქოლოგიური კორექციის, რეფლექსთერაპიისა და აღდგენითი მკურნალობის სხვა მეთოდები.

ძირეულად გარდაქმნათ მოსახლეობის ფიზიკური განვითარების სრულყოფისათვის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის ორგანოების მუშობა და გავაუმჯობესოთ მათი თანამოქმედება.

თანამედროვე პირობებში პროფილაქტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სანატარიულ-ჰიგიენური ცოდნის აქტიური პროპაგანდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უნდა გაზარდონ სატელევიზიო და რადიოგადაცემების, საგაზეთო და საყურნალო პუბლიკაციების რიცხვი მოსახლეობის ჰიგიენური აღზრდისა და სანიტარიული განათლების საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ მასალები იყოს გასაგები და დამაჯერებელი. ფართოდ გაამუქონ პროფილაქტიკური და გამოჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის მუშაობის გამოცდილება.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ ინფექციურ დაავადებათა, უწინარეს ყოვლისა, გრიპისა და სხვა იმ წმვავე რესპირატორულ დაავადებათა მნიშვნელოვანი შემცირების ღონისძიებანი, რომელთა წილად მოდის დროებითი შრომისუუნარობის ყველა შემთხვევის დაახლოებით ნახევარი, ეკონომიკური ზარალი კი წელიწადში 3,5 მილიარდ მანეთს აღწევს. ამ მიზნით შეიმუშაონ პროფილაქტიკისა და მკურნალობის ეფექტიანი საშუალებები, ფართოდ გამოიყენონ საერთო ჰიგიენური და გამოჯანსაღებელი პროცედურები, განსაკუთრებით ბავშვთა შორის, გააუჯობესონ აცრის საქმის ორგანიზაცია. შეამცირონ კუჭ-ნაწლავის ინფექციებითა და ვირუსული ჰეპატიტით დაავადება სასმელი წყლისა და კვების პროდუქტების მიკრობული და ვირუსული გაჭუჭყიანების თავიდან აცილების გზით.

პროფილაქტიკური საქმიანობის თანამედროვე ხერხებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთელი მოსახლეობის ყოველწლიურ დისპანსერიზაციას. თავისი მასშტაბითა და სოციალური მნიშვნელობით ამ ჯარიანობიზული პროგრამის განხორციელება თვისებრივად ახალი ეტაპი იქნება საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, როცა სახელმწიფო იკისრებს ზრუნვას თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისათვის მისი უმაღლესი ფორმით — აქტიურად, დინამიკურად აწარმოებს დაკვირვებას მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.

დისპანსერიზაციის მთავარი მიზანია შეიქმნას ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებასა და მის დინამიკურ კონტროლს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე დაყრდნობით, სადისპანსერო სისტემამ უნდა დაიკავოს აქტიური პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს „დამსწრები დარტყმის" მიყენებას ყოველივე იმისათვის, რაც შეიძლება დაავადებათა წარმოქმნისა და განვითარების მიზეზი გახდეს.

დისპანსერიზაციის შემოღება განხორციელდეს ორ ეტაპად: 1991 წლამდე ქრონიკულ ავადმყოფებთან ერთად დისპანსერული მეთვალყურეობა ყველგან დაუწესდეთ ბავშვებსა და ყმაწვილებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, ორსულ ქალებს, ომის ვეტერანებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მუშამოსამსახურეებს, ხოლო 1995 წლისათვის — ქვეყნის მთელ მოსახლეობას.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საკავშირო პროფსაბჭომ, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანებმა უზრუნველყონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში საყოველთაო დისპანსერიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, გააქტიურონ მასში ფართო სამედიცინო საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის მოვალეობად ჩაითვალოს დისპანსერიზაციის გავლა და აქტიური მონაწილეობა პროფილაქტიკურ და გამოჯანსაღებელ ღონისძიებებში.

II. მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესება ჯანმრთელობის დაცვის მთავარი ამოცანაა

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მთავარი ამოცანაა მაღალხარისხოვანი სამედიცინო დახმარებით მოსახლეობის დროული, სრული და ყოველმხრივი დაკმაყოფილება. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის ძირეული გარდაქმნა და ინტენსიფიკაცია, ამასთან აქტიურად გამოიყენონ მუშაობის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი ტექნოლოგიები, თანამედროვე მეთოდები და საშუალებები. ამასთან უზრუნველყონ მტკიცე შემობრუნება ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში ექსტენსიური მიდგომიდან მისი საქმიანობის ხარისხობრივი შეფასებისაკენ.

გავითვალისწინოთ ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების — ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ძირითადი რგოლის ქსელის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინტენსიფიკაცია, რომელიც ყოველდღიურ დინამიკურ მეთვალყურეობას უწევს ჯანმრთელებსა და ავადმყოფებს, უზრუნველყოფს პროფილაქტიკური, სამკურნალო-დიაგნოსტიკური და გამოჯანსაღებელი ღონისძიებების ფართო კომპლექსის განხორციელებას.

ჰოსპიტალამდელ ეტაპზე მოზრდილთა და ბავშვთა შორის დიაგნოსტიკის სრული და დროული მოწყობისათვის თითოეულ რესპუბლიკაში, ოლქში, მხარეში უნდა შევქმნათ დიაგნოსტიკური ცენტრების ქსელი, თავი მოვუყაროთ იქ რთულ და დიდეფექტიან, თანამედროვე მოწყობილობასა და სამედიცინო ტექნიკას — კომპიუტერულ ტომოგრაფებს, ანარატებს კვლევის ულტრაბგერითი და რადიოიზოტოპური, რენტგენოკონტრასტული და სხვა მეთოდებისათვის, აგრეთვე ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრებს. პოლიკლინიკური საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური სამსახურის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მრავალპროფილიანი საავადმყოფოების პოტენციალი.

თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობისა და სამკურნალოშემლი საშუალებების შეშვეობით — დიაგნოსტიკის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებით გავზარდოთ იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც პოლიკლინიკებში და შინ მკურნალობენ. გარდავქმნათ დისპანსერების მუშაობა, უზრუნველვყოთ მემკვიდრეობითობა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებთან მათს მუშაობაში. განვაგრძოთ პოლიკლინიკებთან აქტიური მკურნალობის განყოფილებებისა და უფასო მედიკამენტოზური უზრუნველყოფით შინ სტაციონარების შექმნის პრაქტიკა.

მნიშვნელოვნად გავააქტიუროთ პოლიკლინიკების მუშობა მოსახლეობის გაჯანსაღებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისთვის, გავზარდოთ მათი როლი ავადმყოფთა სამედიცინო-სოციალურ რეაბილიტაციაში, 1990 წლისათვის დავამთავროთ ყველა პოლიკლინიკაში პროფილაქტიკისა და აღდგენითი მკურნალობის განყოფილებების (კაბინეტების) შექმნა. უზრუნველყოთ მრომელთა საავადმყოფოს გარეთ დახმარების ხელმისაწვდომობა მუშობისაგან თავისუფალ დროს საწარმოო დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშობის რეჟიმის გათვალისწინებით.

გავზარდოთ უბნის ექიმის — იმ ძირითადი სპეციალისტის როლი და პრესტიჟი, რომელიც ახორციელებს სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამოჯანსაღებელ ღონისძიებების კომპლექსს, სისტემატურად ადევნებს თვალს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. შევცვალოთ უბნის ექიმთა მომზადების სისტემა, დავადგეთ ზოგადი პრაქტიკის ექიმის მომზადების გზს. შევქმნათ საჭირო პირობები მისი ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ მოსამსახურეებელი მოსახლეობის წინადადებანი ტერიტორიული საექიმო უბნების კონტინგენტების ფორმირების დროს. უზრუნველყონ თანდათანობითი გადასვლა „საოჯახო ექიმის" პრინციპით სამედიცინო დახმარების გაწევაზე.

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს ცალკეულ სახეობათა სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი, მეთორმეტე-მეცამეტე ხუთწლედებში ყოველ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ცენტრში შეიქმნას სამეურნეოანგარიშიანი პოლიკლინიკები, მათ შორის სტომატოლოგიური და ფიზიოთერაპიული, აგრეთვე კოსმეტოლოგიური სამკურნალოები და გამოჯანსაღებელი კომპლექსები.

მოსახლეობის სტაციონარული დახმარების გაუმჯობესების ძირითად მიმართულებად ჩაითვალოს თანამედროვე მრავალპროფილიანი საავადმყოფოებისა და სპეციალიზებული ცენტრების ქსელის განვითარება. საჭიროა სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ინტენსიფიკაცია სტაციონარში, ამასთან მაქსიმალურად გამოვიყენოთ მაღალკვალიფიციური კადრები, რთული სამედიცინო მოწყობილობა და ეფექტიანი სამკურნალწამლო საშუალებები, აქტიურად დავნერგოთ ეტაპობრივობა სტაციონარული დახმარების ორგანიზაციაში. განვავითაროთ ანესთეზიოლოგიის, რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებების (პალატების) ქსელი. გავზარდოთ აღდგენითი მკურნალობისათვის საჭირო საავადმყოფოებისა და განყოფილებების რიცხვი. გავაფართოოთ ქსელი სტაციონარებისა დღისით ავადმყოფთა ყოფნისათვის, სამეურნეოანგარიშიანი პანსიონატებისა — პირებისათვის, რომლებსაც მუდმივი მოვლა სჭირდებათ.

განვავითარონ სანატორიულ-საკურორტო დახმარების სრეპაბილიტაციი მიმართულება, ყველა რეგიონში შექმნან იმ ავადმყოფების ბოლომდე მკურნალობის სანატორიუმები და განყოფილებები, რომლებმაც გადაიტანეს მწვავე მოკარდის ინფარქტი, ტვინის ინსულტი, გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების ოპერაციები, რასაც შედეგად მოჰყვა მძიმე ტრავმები და სხვ. გაზარდონ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ეფექტიანობა. ჯანმრთელობის კერების ქსელის შემდგომ გაფართოებასთან ერთად განვითარონ ისეთი ავადმყოფებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული სანატორიუმების ქსელი, რომლებსაც დაავადებული აქვთ სისხლის მიმოქცევის, საშქის მონელების და სასუნთქი ორგანოები, ნერვული სისტემა, მაქსიმალურად მიუახლოვონ სანატორიული დახმარება მოსახლეობის მუდმივი ცხოვრების ადგილს ადგილობრივი კურორტების შექმნის გზით, უწინარეს ყოვლისა ინტენსიური ეკონომიკური განვითარების რეგიონებში.

გააუმჯობესონ ავადმყოფთა მოვლა სამედიცინო პერსონალის შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმების ფართო გამოყენების, მომსახურების ზონათა გაფართოების, პროფესიათა შეთავსების, მცირე მექანიზაციის საშუალებათა დანერგვის მეშვეობით. ჩაბან ამ მუშობაში სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტები და საშუალო სამედიცინო სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, წოთელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა აქტივისტები. ავადმყოფთა მოვლის უზრუნველსაყოფად გამოიყენონ აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები. გაფართოონ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან შენობების დალაგებისა და მოვლის, აგრეთვე სხვა სახეობის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა. უზრუნველყონ ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში სანტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის მკაცრად დაცვა.

შეუფერხებელი საგანგებო დახმარების ოპერატიული უზრუნველყოფის მიზნით დაასრულონ სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სისტემის ორგანიზაცია ჰოსპიტალამდელი და ჰოსპიტალური ეტაპების გათვალისწინებით. უზრუნველყონ იგი სპეციალიზებული ტრანსპორტით და კავშირგაბმულობის საშუალებებით, აღჭურვონ თანამედროვე ტექნიკით, საჭირო რეაქტივებით და მედიკამენტებით, განაგრძონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციალიზებული ბრიგადების ორგანიზაცია.

რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში, მილიონზე მეტი მოსახლეობის ქალაქებში შექმნან „სასწრაფო სამედიცინო დახმარების" გაერთიანებები, რომლებიც შეიცავენ სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სადგურებს, სანიტარიულ ავიაციასა და მოზრდილებისა და ბავშვებისათვის განკუთვნილ სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოებს.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა დედაშვილობის დაცვის ყოველმხრივი სრულყოფა. საჭიროა ძირეულად გარდაქმნას ქალთა და ბავშვთა ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების, სამშობიარო სახლებისა და საბავშვო სტაციონარების მუშობა, ამაღლდეს მათი პროფილაქტიკური საქმიანობის დონე, გაძლიერდეს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, მოზარდი თაობის დაავადებათა პროფილაქტიკისა და ჯანმრთელობის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად უნდა დაიხვეწოს ქალებისა და ბავშვების სამედიცინო დახმარების სისტემა ერთიანი სამეანო-თერაპევტულ-პედიატრიული უბნების ორგანიზაციის საფუძველზე.

1995 წლისათვის უზრუნველყონ ყველა ბავშვი, რომელსაც კი ეს სჭირდება, სხვადასხვა სახეობის სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით, გაზარდონ სანატორიული პიონერული ბანაკების ქსელი, უფრო ფართოდ გამოიყენონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები ორსული მუშაკი ქალებისა და ბავშვების გასაჯანსაღებლად.

ნაადრეკი მშობიარობის თავიდან აცილების, ახალშობილ ბავშვთა ავადობის და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, სამხარეო და საოლქო ცენტრებისა და ქალაქების მრავალპროფილიან სტაციონარებთან შექმნან სპეციალიზებული განყოფილებები (პალატები) ორსული ქალებისათვის, რომლებსაც დაავადებული აქვთ გული, ფილტვები, თირკმელები, ენდოკრინული სისტემა, განაგრძონ პათოლოგიური ორსულობის მქონე ქალებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული სამშობიაროს სახლებისა და განყოფილებების ქსელის განვითარება. უფრო ფართოდ გამოიყენონ სამედიცინო-სოციალური ორსულობის მქონე ქალებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული სამშობიაროს სახლებისა და განყოფილებების ქსელის განვითარება. უფრო ფართოდ გამოიყენონ სამედიცინო-სოციალური ორსულობის მქონე ავადმყოფობათა მკურნალობის ფორმები, ეფექტიანად ვუმკურნალოთ ანემიები, ფეოფეტიანი ანემიები, ალერგიული, ალერგოალერგიული, ალერგოინფექციური, ალერგოტოქსიკური, ალერგოენდოკრინული, ალერგოდერმატოზული, ალერგოფოტოდერმატოზული, ალერგოფოტოალერგიული, ალერგოფოტოინფექციური, ალერგოფოტოტოქსიკური, ალერგოფოტოენდოკრინ

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის

ძირითადი მიმართულებანი

(დასასრული)

მედიცინის მუშაკთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის დონის ამაღლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით გავზარდოთ „მედიცინსკაია გაზეტას“ გამოსვლის პერიოდულობა.

გავაუმჯობესოთ მედიცინის მუშაკთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობები. მოვაწყოთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ოთახები, სასადილოები, ბუფეტები, მომსახურების პუნქტები. განვავითაროთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების, დასვენების ბაზების, პიონერული ბანაკების ქსელი. გავზარდოთ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენებისათვის საჭირო საგზურების რიცხვი.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა თითოეულ შრომითს კოლექტივში უნდა შექმნან შემოქმედებითი აქტიურობის, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესების, თერმობირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ძვეყნის ექიმთა ძალების გაერთიანების ახალი გზების ძიების ატმოსფერო.

IV. უფრო აქტიურად განვავითაროთ მედიცინის მეცნიერება, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მისი მიღწევები ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში

ხალხის ჯანმრთელობის გაკეთებაში, სამედიცინო დახმარების პრინციპულად ახალი საშუალებებისა და მეთოდების შექმნაში, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირებასა და დამკვიდრებაში წამყვან როლს ასრულებს მედიცინის მეცნიერება.

საბჭოთა მედიცინის მეცნიერებამ მტკიცე ავტორიტეტი მოიპოვა მსოფლიოში. მისი მიღწევები მნიშვნელოვანი და საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ გარდატეხის რევოლუციური პერიოდი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება განიცდის, მასაც გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს. საბჭოთა მედიცინის მეცნიერების პოტენციალს ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ უმნიშვნელოვანესი ამოცანის — ადამიანთა ჯანმრთელობის გაკაჟების, მათი აქტიური ცხოველმოქმედების გახანგრძლივების ამოცანის გადაწყვეტისათვის. ცოტაა დიდი კომპლექსური გამოკვლევები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის კარდინალურ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ნაშუშვრის ხარისხი კვლავ დაბალ დონეზეა. შეინიშნება ჩამორჩენა იმუნოლოგიის, გენეტიკის, ბიოტექნოლოგიის, ტრანსპლანტოლოგიის, ჰემატოლოგიის, სტომატოლოგიის, ფარმაკოლოგიის ფუნდამენტურ გამოკვლევათა დარგში. ნელა ხორციელდება სამედიცინო პრაქტიკაში თანამედროვე მეცნიერების მიღწევები.

მედიცინის მეცნიერების ჩამორჩენა განაპირობა აგრეთვე სამეცნიერო ნაშუშვრების დაგეგმვისა და დაფინანსებაში არსებულმა ფორმალიზმმა, იმან, რომ არ იყო სოციალური შეკვეთა მიმდინარე გამოკვლევებისათვის, სუსტია მეცნიერული ნამუშევრების საბოლოო შედეგების ხარისხისადმი მომთხოვნელობა. ბევრი კოლექტივის მუშაობის მეთოდოლოგიურ და მეცნიერულ-ტექნიკური დონე არ შეესაბამება მსოფლიო მედიცინის მეცნიერების მიღწევებს. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქსელი და სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე დონეზე სრული მასშტაბის მეცნიერული კვლევის მოწყობას.

მსოფლიო მედიცინის მიღწევები, ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტენსიურად განვითარებადი დარგების გამოცდილება მოწმობს, რომ ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში პროფილაქტიკის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდებისა და საშუალებების დროული და ფართო დანერგვა შეიძლება უზრუნველყოფთ მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრების მქონე სპეციალისტებული ქვეგანაყოფების შექმნისა და დანერგვის პროცესის მატერიალური სტიმულირების გზით.

ყოველივე ეს მოითხოვს ძირეულად გარდაქმნათ მედიცინის მეცნიერების მართვა, მეცნიერული საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზაცია, მივანიშნოთ ამ პროცესებს კონკრეტული, მიზნობრივი, შემტევი ხასიათი. საჭიროა კვლევითი მუშაობა ვაწარმოოთ ჯანმრთელობის დაცვის სოციალური შეკვეთების შესაბამისად. თავი მოვუყაროთ მეცნიერთა ძალებს სამედიცინო-ბიოლოგიური, კლინიკური და ბიოლოგიური კვლევის ძირითად ფუნდამენტურ მიმართულებებზე და შედეგები მივუსაბამოთ პრაქტიკული ჯანდაცვის პრობლემების რადიკალურ გადაჭრას და, უწინარესად, დაავადებათა მიზეზების გამოვლენას მათი პროფილაქტიკის, ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით. მეცნიერების უპირველეს ამოცანად მიჩნეულია სამედიცინო-სოციალური პრობლემების შესწავლა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დინამიკის ანალიზი დემოგრაფიულ ძვრებთან, წარმოებისა და გარემოს პირობების ცვლებადობასთან და მიგრაციებს, პროცესებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას, გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიურ, ენდოკრინულ-ფსიქიკურ, ენდოკრინულ, ინფექციურ, ჰემატოლოგიურ, ალერგიულ, სტომატოლოგიურ დაავადებათა თავიდან აცილებას.

თავი მოვუყაროთ ძალებს გეგეგმური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიის დარგში მეცნიერული ძიებებისათვის, თანამედროვე ხელსაწყობისა და ავტომატიზებული სისტემების, გარემოს დისტანციური და ავტომატიზებული კონტროლის მეთოდების შემუშავებას. გავააქტიუროთ სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციის და მართვის ახალი პრინციპების შემუშავება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამებსა

მიღწევათა რეალიზაცია, თანამედროვე საინფორმაციო-საძიებო სისტემების შექმნა. ყველა ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით წარემართოთ არა მარტო მედიცინის დარგის სპეციალისტთა, არამედ აგრეთვე სოციოლოგთა, დემოგრაფთა, მათემატიკოსთა და მეცნიერებისა და ტექნიკოსთა სხვა დარგების წარმომადგენელთა ძალისხმევა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემია უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის მთელი მედიცინის მეცნიერების ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის ნამდვილი შტაბი და წარმართოს თავისი საქმიანობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სახალხო შეურნეობის სხვა დარგების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან უმჭიდროესი კონტაქტით. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნეს მიჩნეული ის, რომ მნიშვნელოვნად აამაღლოს თითოეული სამეცნიერო კოლექტივისა და თანამშრომლის მუშაობის ეფექტიანობა, გააძლიეროს მათი პასუხისმგებლობა მეცნიერული ნამუშევრების თეორიული და პრაქტიკული ღირებულებისათვის.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანდაცვის სამინისტროებმა უზრუნველყონ მეცნიერებისადმი სოციალური შეკვეთის ფორმირება, მეცნიერული პოტენციალის გამოყენების ინტენსიფიკაცია, სამეცნიერო-საკვლევი ნამუშევრებისა და მიღწეულების გამოცდილების შედეგების ფართო მასშტაბით დანერგვის ოპერატიული ორგანიზაცია. მნიშვნელოვნად გააფართოონ უმაღლეს სასწავლებლებსა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში მიმდინარე მეცნიერული კვლევის ხარისხი, განსაზრვიელონ ღონისძიებანი დარგობრივი, უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებისა და პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის კავშირის გასაღლიერებლად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ აამაღლონ ექსპერტიზის როლი დასაგეგმვი და დასრულებული მეცნიერული ნამუშევრების შეფასებაში, სრულყონ დარგის საინფორმაციო და საპატენტო-სალიცენზიო სამსახური.

სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა შედეგიანობის ამაღლების ინტენსიფიკაციის მიზნით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დადასინჯოს 1987-1988 წლებში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ქსელი, გააუქმოს მეცნიერული თვალსაზრისით უნაყოფო ინსტიტუტები, ამასთან განთავისუფლებული მუშაკები, მატერიალური და საფინანსო რესურსები გამოიყენოს ყველაზე აქტუალურ მეცნიერულ მიმართულებებზე.

გავაძლიეროთ მეცნიერების მუშაკთა დაინტერესება მეცნიერული ნაკვლევების დაჩქარებითა და პრაქტიკული დანერგვით, უზრუნველვყოთ მუშაკის შრომის ანაზღაურების დიფერენცირება საბოლოო შედეგის მიღწევაში მისი კონკრეტული წვლილის კვალობაზე. მივანიჭოთ სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უფლება შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გაფართოებისას დაუწესონ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ლაბორანტებსა და მომსახურე პერსონალს ხელფასის დანამატი.

სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის ინტენსიფიკაციის გზით გავაფართოოთ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე დამატებითი, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე გამოკვლევების შესასრულებლად ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა. შემკვეთისაგან მიღებული სახსრები მოვახმაროთ იმ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მუშაკთა შრომის დამატებითს სტიმულირებას და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

გავაფართოოთ მეთაური სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელმძღვანელების უფლებები სუბორდინირებული დაწესებულებებისა და კათედრების გაძღოლის, სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა დაგეგმვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და ატესტაციის, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და განაწილების დარგში. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სამეცნიერო ცენტრებთან და მეთაურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან საცდელ-საექსპერიმენტო წარმოებათა შექმნა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის არსებითი გაუმჯობესების მიზნით რჩება მიეცეთ საწარმოთა და მეურნეობათა შრომითის კოლექტივებს შექმნან მეთორმეტე-მეცამეტე ხუთწლედებში სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები და სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები, აგრეთვე განავითარონ გამაჯანსაღებელი კომპლექსების, სპეციალური საამქროებისა და უბნების ქსელი მუშაკთა სამედიცინო-სოციალური, პროფესიული და შრომითი რეაბილიტაციისათვის.

მშენებლობისას უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში რამდენიმე საწარმოსა თუ ორგანიზაციის სახსრების კოოპერირება.

შრომითი კოლექტივების თხოვნით საწარმო-ორგანიზაციათა ბალანსზე გადასცენ აშენებული სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები, დართონ მათი დაფინანსებისა და შენახვის ნება.

არსებითად გააუმჯობესონ სოფლის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა. განაგრძონ პრაქტიკა საექიმო ამბულატორიების მშენებლობისა აფთიაქებთან და მედიკოს-ფარმაცევტ მუშაკთა ბინებთან კომპლექსით. ააშენონ მეთორმეტე-მეთოთხმეტე ხუთწლედებში 14 ათასზე მეტი ასეთი კომპლექსი.

კარდინალურად განვამტკიცოთ დისპანსერების, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი და საშუალო სამედიცინო სასწავლებლებისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ახალი მშენებლობისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ დამატებითი შენობების გამოყოფის გზით მეცამეტე ხუთწლედში ყველგან გადავწყვიტოთ სამეურნეოანგარიშიანი პოლიკლინიკების ჯეროვანი მატერიალური ბაზის შექმნის საკითხები. 2000 წლის დამლეგისათვის 5-ჯერ გავზარდოთ მოსახლეობის ფასიანი სამედიცინო მომსახურების მოცულობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებმა უზრუნველყონ მშენებლობის მაღალი ხარისხი და გამოყოფილ ასიგნებათა უცილობელი ათვისება. ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების დაპროექტებისას გაითვალისწინონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ მომუშავეთა სულ ცოტა 25 პროცენტი უზრუნველყოფილი იყოს საუწყვნო საცხოვრებელი ფართობით.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დროული და ხარისხოვანი რემონტის მიზნით შეგქმნათ მეთორმეტე-მეთოთხმეტე ხუთწლედების მახძილზე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს დაექვემდებარებიან.

მედიკამენტურ საშუალებებსა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმზე მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოთხოვნილების სრული და დროული დაკმაყოფილების მიზნით გავზარდოთ თანამედროვე მედიკამენტების წარმოება, ამასთან გავითვალისწინოთ, რომ 1993 წლისათვის უნდა უზრუნველვყოთ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება ყველა სახეობის საბჭოური სამკურნალოწამალო პრეპარატებით. 1995 წლისათვის ერთიორად გავადიდოთ მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის რეალიზაციის მოცულობა.

გადავსინჯოთ სამკურნალოწამალო საშუალებათა ნომენკლატურა, ფანუბრელად შევამციროთ მცირეეფექტიანი პრეპარატების გამომშვება, გამოვიყენოთ გამოთავისუფლებული სომძლავრენი და რესურსები ახალი მედიკამენტების წარმოებისათვის. უზრუნველვყოთ მათი განაწილება ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობისა და ფაქტობრივი მოთხოვნილებების ცვალობაზე.

გავაფართოოთ აფთიაქების ქსელი და განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა. გავუტოლოთ 2000 წლისათვის აფთიაქების რიცხვი ნორმატივებით დაწესებულს.

გავზარდოთ მეთორმეტე-მეცამეტე ხუთწლედებში მედიკამენტების შესაძენად განკუთვნილი ხარჯების ფულადი ნორმები სტაციონარებში შესაბამისად 1,8-2,2-ჯერ, პოლიკლინიკებში — 2-3-ჯერ, ხოლო სტაციონარებში ავადმყოფთა კვებისათვის — 1,5-2,5-ჯერ. გავითვალისწინოთ იმ დაავადებათა ნუსხის შემდგომი გაფართობა, რომელთა სამკურნალოდაც მედიკამენტები უფასოდ გაიცემა.

განვაახორციელოთ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ტექნიკური განახლება თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით, ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტების კომპლექსებით, უწინარეს ყოვლისა, რენტგენული კომპლექსებით, კომპიუტერული ტომოგრაფებით, ულტრაბგერული, ელექტრონული, ენდოსკოპური ტექნიკით, ლაბორატორიული ანალიზატორებით, ავადმყოფებზე უწყვეტი დაკვირვების სისტემებით, გამოთვლითი ტექნიკით, მცირე მექანიზაციის საშუალებებით. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ახლად შექმნილი საკოსულტაციო-დიაგნოსტიკური ცენტრების, აგრეთვე სამშობიარო და საბავშვო ჯანმრთელობის ინსტიტუტების, ონკოლოგიური, ენდოკრინული, ფსიქიკური, ალერგიული, ინფექციური, ჰემატოლოგიური, ფტიზიოლოგიური, ტრავმატოლოგიური, ოფთალმოლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური, ალერგოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ბალნეოლოგიური, ფიზიოთერაპიული, ბალეოლოგიური, ფიზიკურ-ტექნიკური, ბიოფიზიკური, ბიოქიმიური, ბიოლოგიური, ბიოტექნოლოგიური, ბიოორგანული, ბიოანალიზური, ბიოფიზიკ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ
ფოტოები • მოვლენები
14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ● ᲡᲐᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲘᲣᲤᲘᲚᲔᲑᲐ

◆ ᲐᲨᲨ

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲚᲣᲓᲕᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდაჩვიდმეტი საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაცია, სამი საერთო-ეროვნული პროფკავშირი, რომლებიც აერთიანებენ კოსმოსური, მანქანათაშენებელი, ელექტრო, რადიო და ქვების მრეწველობის მუშებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს, ამერიკის ქალაქების მერთა კონფერენცია, თვალსაჩინო მეცნიერები მხარს უჭერენ კონგრესში შეტანილ კანონპროექტს, რომ ბირთვული გამოცდების სიმძლავრე ერთ კილოტონამდე შეიზღუდოს. ეს განაცხადა სენატში გამოსვლის დროს ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სენატორმა ედვარდ კენედიმ. კენედის მოთხოვნით, კანონპროექტი, რომლის თანაავტორია 33 სენატორი, და მისი მხარდამჭერი წერილი გამოქვეყნდა კონგრესის ოფიციალურ ბიულეტენში „კონგრესშლ რეკორდი". კანონპროექტს მხარი დაუჭირეს, კერძოდ, ისეთმა ავტორიტეტიანმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის ამერიკელ მეცნიერთა ფედერაცია, ეკონომიკური პრიორიტეტების საბჭო, ქალთა ეროვნული ორგანიზაცია, ბირთვული გაყინვის მოძრაობა, ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ასოციაცია, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლი ექიმები, სტუდენტთა ეროვნული ასოციაცია.

ბირთვული გამოცდების რიცხვისა და სიმძლავრის მინიმუმამდე შემცირება, განაცხადა კენედიმ, გახსნის ყველა ბირთვული აფეთქების დაუყოვნებელი და სრული აკრძალვის შესახებ საბჭოთა კავშირთან კონსტრუქციული მოლაპარაკების გზას, რასაც დაჟინებით მოითხოვენ როგორც მილიონობით ამერიკელი, ისე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანები.

კანონპროექტის ავტორები იმისთვის იღვწიან, რომ იგი ამერიკის შეერთებული შტატების 1988 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში შეიტანონ. მაგრამ სენატის წევრები რესპუბლიკური პარტიისაგან, ასრულებენ რა თეთრი სახლის მითითებას, ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ კანონპროექტის არა მარტო მიღება, არამედ განხილვაც კი, პროცედურული ხრიკებისა და გაჭიანურების ტაქტიკას მიმართავენ.

რეიგანის ვერტმფრინავი ავიაკატასტროფას გადაურჩა

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ვერტმფრინავი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი იჯდა, ხუთშაბათს კინაღამ დაეჯახა პატარა კერძო თვითმფრინავს. ეს მოხდა მაშინ, როცა ვერტმფრინავი უახლოვდებოდა პრეზიდენტის სანტა-ბარბარას რანჩოს (კალიფორნიის შტატი). შეჯახების თავიდან ასაცილებლად პილოტმა მანქანა კერძო თვითმფრინავის კურსიდან ზემოთ და მარჯვნივ წაიყვანა. მანქანებმა ერთმანეთს დაახლოებით 30 მეტრზე ჩაუქროლეს.

თვთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარლინ ფიტუოტერმა, რომელიც ასევე ვერტმფრინავში იყო, განაცხადა, ეს მეტად „სერიოზული ინციდენტი" იყო.

ერთ-ერთმა თანმხლებმა ვერტმფრინავმა მისდია კერძო თვითმფრინავს, სანამ იგი დაჯდებოდა აეროპორტში რეიგანის რანჩოსაგან 20 მილზე. თვითმფრინავის პილოტი დაპატიმრებულია.

◆ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ. 11 აგვისტოს პორტუგალიის პრეზიდენტმა მ. სოარეშმა პოლიტიკური კონსულტაციები გამართა პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების ხელმძღვანელებთან ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე. ამასწინანდელ ვადამდელ პარლამენტის არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ მთავრობის მეთაური უნდა გახდეს ამ პარტიის ლიდერი ა. კავაკუ სილვა, რომელიც წელიწად-ნახევარს იყო ხელისუფლების სათავეში.

როგორც პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა ჟურნალისტებს პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა, მან სახელმწიფოს მეთაურს უთხრა, რომ დიდად შეშფოთებულია გამოცხადებული პოლიტიკის გამო, რომლის განხორციელებასაც აპირებს პორტუგალიის მომავალი მთავრობა.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ. როგორც ინდოეთში, ისე საზღვარგარეთაც სულ უფრო მეტი მოთხოვნაა დურგაპურის იმ სამთო მოწყობილობის ქარხნის პროდუქციაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ეკონომიკური ხელშეწყობით აშენდა. აქ მომუშავე საბჭოთა ინჟინრები გულუხვად უზიარებენ ინდოელ კოლეგებს თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, ეხმარებიან უახლესი ტექნოლოგიის ათვისებაში და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲨᲘ: საწარმოს ერთ-ერთი საამქრო.

Უ. ᲙᲐᲠᲛᲐᲚᲘᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საკედლის ფოტოქრონიკა).

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲜᲘ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ

ᲘᲡᲚᲐᲛᲐᲑᲐᲓᲘ. 16 კაცი დაიღუპა და 75 დაიჭრა სამი მძლავრი აფეთქების შედეგად, რომელიც მოხდა 11 აგვისტოს მარდანში — პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო პროვინციის სიდიდით მეორე ქალაქში. როგორც წერდა მეორე დღეს გაზეთი „მუსლიმი", ორი ნაღმი დადებული იყო ავტობუსის სადგურში, ხოლო მესამე — ხალხმრავალ სავაჭრო ქუჩაში. აფეთქებათა შემდეგ ქალაქში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეებმა პაკისტანის ხელისუფალთ მოსთხოვეს უარი თქვან პროამერიკულ პოლიტიკაზე აღოღანეთის მიმართ.

ᲓᲔᲚᲘ. როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, უკანასკნელი თვეების მანძილზე პაკისტანში ტერორიზმისა და ძალადობის ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ქვეყნაში ავღანელი კონტრრევოლუციური ნაძირალების ყოფნასთან. მაგალითად, საინფორმაციო საგენტოების ცნობით, მარტო მარდანის რაიონში თავმოყრილია ასი ათასზე მეტი „თავისუფალი ლტოლვილი". ისინი აქტიურად ეწევიან იარაღისა და ნარკოტიკების არალეგალურ ვაჭრობას, მოსდით კონფლიქტები და შეიარაღებული შეტაკებანი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

პაკისტანის საზოგადოებრიობის ფართო წრეები ზია-ულ-ჰაკის ადმინისტრაციას ბრალად სდებენ, რომ არ შესწევს უნარი უზრუნველყოს მოქალაქეთა უშიშრობა, მოითხოვენ პაკისტანიდან ავღანელ დუშმანთა გაძევებას.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის აიოვის შტატის ქალაქ უოტერლუში ისეთი უჩვეულო ქურდობა მოხდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი სახტად დარჩნენ. მართლაც, ვის და რისთვის სჭირდებოდა 14 ათასი ჭიაყელა? ისინი სპეციალური სამაცივრო დანადგარიდან მოიპარეს სპორტულ მაღაზიაში, სადაც მეთევზეები ყიდულობდნენ.

მაღაზიის პატრონმა კანადაში შესყიდული ჭიაყელების მოპარვით მიღებული ზარალი 500 დოლარად შეაფასა. იგი ყველაფერს კონკურენტებს აბრალებს და ჩივის, რომ დანაკარგის შევსება შეუძლებელია: გვაღვის გამო ჭიაყელების რაოდენობა კანადაში კატასტროფულად კლებულობს.

ამ ქურდობამ საგონებელში ჩააგდო ადგილობრივი პოლიციაც, მისი წარმომადგენლის თქმით, წესრიგის დამცველნი „წინათაც წასწყდომიან სპორტული მაღაზიების გაძარცვის შემთხვევებს, მაგრამ ჭიაყელები რომ მოეპარათ, ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა".

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲛᲕᲔᲜᲔ, „ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲝ!"

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲠᲔᲒᲑᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲚᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ სპორტში, უწინარესად გუნდურ სახეობათა თამაშებში — ფეხბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, კალათბურთსა და წყალბურთში — სხვადასხვა დონით უკვე კარგა ხნის წინათ დათმობილმა პოზიციამ ბევრს ალბათ ახალ წარმატებათა იმედიც კი გადაუწურა. ცხადია, წარსულში მოპოვებული არ გაფერმკრთალდება, მაგრამ ზოგიერთ თამაშში შექმნილი ამჟამინდელი მდგომარეობა, იმათ, ვისაც ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის განვითარების ბედ-იღბალი გულთან ახლოს აქვს მიტანილი, უთუოდ გულს სტკენს. მაგრამ ნავსი გატყდა, რეგბისტებმაც დიდხანს გვალოდინეს და ბოლოს შამაბეჭდავი ზეიმის მონაწილენი გაგვხადეს. და ეს მოხდა ქუთაისში, 13 აგვისტოს გამართულ საკავშირო თასის მეცამეტე გათამაშების ფინალურ მატჩში. ამ მართლაც წარმტაც და შეუპოვარ შეხვედრაში ქუთაისის „მშენებელმა" დამაჯერებელი ანგარიშით — 12:3 (12:3) დაამარცხა ქალაქ მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის საყოველთაოდ აღიარებული და მრავალსაფეხიანი კოლექტივი — ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი და [illegible]

მოკლედ, ძალიან მოკლედ ამ ფინალური მატჩის რამდენიმე ეპიზოდზე: დაიწყო თუ არა თამაში, რამდენიმე წუთის შემდეგ ქუთაისელებმა ელვისებური გარღვევა განახორციელეს, ალექსანდრე ნაჭყებიამ ბურთი „დაამიწა" მეტოქის მოედნის მიღში, ხოლო ნუგზარ მაგნიძემ საჯარიმო ოქრომჭედლური სიზუსტით შეასრულა — დაწინაურდნენ მასპინძლები — 6:0. ეს უკვე მრავლისმეტყველი ფაქტი იყო, ვინაიდან, ჩვეულებრივ, ქუთაისელი რეგბისტები თუკი თვითონვე შეძლებენ ხოლმე დაწინაურებას, მათს „დამეხრუჩებას" იშვიათად თუ ვინმე ახერხებს. მას შემდეგ კი, როცა იმავე მაგნიძემ ორჯერ ზედიზედ კვლავ უზუსტესი და ოსტატური საჯარიმო დარტყმით შესაძრნევად დააწინაურა თავისი გუნდი — 12:0, ყველა დარწმუნდა, რომ სანუკვარი თასი ქუთაისელების ნადავლი გახდებოდა. ტაიმის მიწურულს მეტოქეებმა ერთ-ერთი საჯარიმოს რეალიზება შეძლეს და საბოლოო გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 12:3. საბოლოოო, იმიტომ ვამბობთ, რომ მეორე ტაიმში მეტოქეთა შეუპოვარ ბრძოლას ანგარიშის გაზრდის ან სხვაობის რამდენადმე შემცირება არ მოჰყოლია.

ამ დღემდე საქართველოს კოლექტივებიდან მხოლოდ 1978 წელს თბილისის „ლოკომოტივი" დაეუფლა სსრ კავშირის თასს. და აი, ცხრა წლის შემდეგ ქუთაისელებმა იმარჯვეს და ახლა უკვე მათი გუნდის სახელწოდება — „მშენებელი" ნატიფი ოსტატობით შესრულებული ვერცხლისფერი თასის ერთ-ერთ მონაკვეთზე [illegible]

მატჩის შემდეგ ყველა ერთსულოვანი იყო: ეს თასი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარიაო ქართული სპორტისა. უდავოდ ასეა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ისტორიის ის ფურცლები, რომლებიც ოქროს ასოებით ვარაყდება, სწორედ რომ შთამბეჭდავ გამარჯვებათა დასტურია. აბჯარად ქუთაისელებმა იმარჯვეს და უთუოდ გუშინწინდელ მატჩზე დამსწრეთაგან არც ერთს არ დაავიწყდება, რომ ეს იყო ულამაზესი და საინტერესო შეხვედრა. და როდინ დასასნაინა, რომ ვერ მოხერხდა ამ მართლაც ისტორიული მატჩის ტელეტრანსლაციის მოწყობა.

ახლა კი გთავაზობთ მატჩის შემდეგ იმათ გამოთქმებს, ვისაც, უშუალო კავშირი აქვს ჩვენს ქვეყანაში თუ რესპუბლიკაში რეგბის განვითარების საკითხებთან:

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲣᲨᲘᲜᲘ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ, ᲠᲔᲒᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲒᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ: როგორც ხედავთ, საბჭოთა რეგბის ეპიცენტრმა ქუთაისში გადმოინაცვლა. გულითადად ვუსურვებ ამ ქალაქის რეგბისტებს, ყველას, ვინც ამ წარმატებით გაიხარა. მაგრამ ისიც, რომ ადგილობრივი ხელისუფლები ყურადღებას იჩენენ ამ სახეობის სპორტისადმი, შენდება რეგბისტთა შესანიშნავი ბაზა.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲢᲐᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ Ს�პᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲒᲑᲘᲡᲨᲘ: ქუთაისელმა რეგბისტებმა ვაქცაცურად იბრძოლეს, ტოლი [illegible] ძლიერ მეტოქეებს და პირველ ტაიმშივე ჩარხი თავის სასარგებლოდ დაატრიალეს. მათ წინ კიდევ ახალი გამოცდა ელით საკავშირო ჩემპიონატის სუპერფინალურ ტურნირში. მე მჯერა, რომ „მშენებელი" ამ შეჯიბრებაშიც არ შეირცხვენს თავს და ღირსეულად იბრძოლებს მედლებისათვის. ოღონდ ეს არის, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რა ღირსების მედლებს მიიპრვებენ. დაბვეწილი ოსტატობის გარდა, ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მათმა უაღრესად მაღალმა სათამაშო დისციპლინამ. რაც შეეხება სათასო ტურნირის ორგანიზაციას, მსაჯთა კოლეგიის მუშაობას, იგი მართლაც უზადო იყო"...

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲔᲠᲔᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲫᲦᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ჩემი სიხარული ორმაგია: ერთი ის, რომ „მშენებელი" ჩვენი კოლექტივის გუნდია, მეორე და უმთავრესი, — რომ ჩვენმა რეგბისტებმა მშენებელთა იმედები გაამართლეს. ამ მატჩს ჩვენი კომბინატის ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე ესწრებოდა, ქომაგობდა გუნდს, და აკი არც დაგვაღალატეს. ამბტომაც მათ მიმართ ყურადღებას გავაათკეცებთ, ეეცდებით, რაც შეიძლება მალე დავამთავროთ საწვრთნელი და სათამაშო ბაზის კომპლექსის აგება.

და ბოლოს, სიტყვა მივცეთ **„მშენებლის" უფროს მწვრთნელს დუგლას კაბთელაშვილს:** — ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება ბევრს გვავალებს. შევეცდებით შედგომმიც გავამართლოთ ჩვენი ქომაგების იმედები. მადლობელი ვარ გუნდის თითოეული წევრისა და ჩემი ყველა თანაშემწისა, რომლებმაც არაფერი დაიშურეს საერთო წარმატებისათვის. პრობლემები? გვაქვს, მაგრამ ამ საზეიმო ჟამს მათზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, მეჩოთირება, მით უმეტეს, რომ თანდათან, ალბათ, ისინიც გადაწყდება.

ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ გუნდს წინ კიდევ ბევრი დაბრკოლება აქვს გადასალახი: საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე წარმატებისათვის შეუპოვარი ბრძოლა და გზადაგზა გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომელთა მოწესრიგება დიდად საშური საქმეა.

დასასრულ კიდევ ერთხელ ვულოცავთ ქუთაისელ რეგბისტებს თასის მოპოვებას და კიდევ უფრო დიდ წარმატებასაც ვუსურვებთ.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲠ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ვერცხლით დაფერილი თასი და ამ ჯილდოს ახალი მფლობელის, ქუთაისის „მშენებელის" რეგბისტები და მათი ხელმძღვანელები.

Თ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲐᲟᲐ ᲯᲐᲚᲐᲚᲐᲜᲘᲡ



მწუხარებამ მოიცვა ქართველ ჟურნალისტთა ოჯახი — საბედისწერო შემთხვევამ უდროოდ გამოგვაკლო ვაჟა ჯალაღანია — ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

დიდია ჩვენი დანაკლისი — გარდაიცვალა, სამაგალითო პიროვნება, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ქართულ პრესასთან და მისი წინსვლისა და აღმავლობის საქმეს ერთგულად ემსახურებოდა.

ვაჟა ტრიფონის ძე ჯალაღანია დაიბადა 1921 წელს აბაშის რაიონის სოფელ კაპანაში. 1937-42 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს იმუშავა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად.

ჟურნალისტური მოღვაწეობა ვაჟა ჯალაღანიამ 1945 წლიდან დაიწყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". ათი წლის მანძილზე ამ გაზეთში იყო იგი განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ, აქ ქვეყნდებოდა და მკითხველთა მოწონებით სარგებლობდა ნიჭიერებით აღბეჭდილი მისი წერილები და ნარკვევები. და 1955 წელს, როცა გაზეთი „კომუნისტმა" მოვიდა, უკვე გამოცდილი, დახვეწილი პროფესიონალი იყო, რომელსაც კალამიც უჭრიდა და გაზეთის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების საქმესაც ზედმიწევნით ფლობდა.

1957 წელს უკვე „კომუნისტის" პასუხისმგებელ მდივნად დააწინაურეს და მთელი 30 წელიწადი — სიცოცხლის ბოლომდე მეთაურობდა რედაქციის ყველაზე ოპერატიულ უბანს — სამდივნოს.

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია სიტყვები: „სამაგალითო" და „ერთგულება". სამაგალითო იყო ვაჟა ჯალაღანიას სიყვარული და პატივისცემა მშობელი მიწისადმი, ნათესავ-მეგობრებისადმი, თანამშრომლებისადმი; ახალგაზრდები მისგან სწავლობდნენ კაცთმოყვარეობას, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობას. თავად მას კი ცოტა ვინმე თუ გაეჯიბრებოდა გაზეთის ერთგულებაში. იგი საჭიროებისას რედაქციაში აღამებდა და ათენებდა, ოღონდ „კომუნისტის" ყოველი ნომერი სანიმუშო ყოფილიყო...

სიკვდილთან მებრძოლიც კი საყვარელ საქმეს ნატრულობდა, თავისიანებს შესთხოვდა: ახალი გაზეთი მაყნოსეთო...

დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა ვაჟა ჯალაღანიას არა მარტო „კომუნისტის" კოლექტივში, არამედ საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალისტთა წრეებში; მის კეთილშობილებასა და პროფესიონალიზმს დიდ პატივს სცემდნენ...

რედაქციის სამდივნოს საქმეებით გადატვირთული, მაინც პოულობდა დროს ქართული სიტყვის საფერებლად — საუკეთესო ნარკვევების კრებულები შემატა ჩვენს ჟურნალისტიკას, ბევრი ჩანაფიქრიც თან წაიყოლია...

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასა ვაჟა ჯალაღანიას დამსახურება ქართული პრესის წინაშე: შესანიშნავი კომუნისტი, 1945 წლიდან სკკპ წევრი, იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის", საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, იყო საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი...

და რა მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ძვირფასი მეგობარი, ახალგაზრდობის მრჩეველი, ქართული სიტყვის უსაზღვროდ მოყვარული პიროვნება.

„კომუნისტის" კოლექტივს, მეგობარ კოლეგებს მარად ეხსომებათ მისი ნათელი სახე.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". 9.30 — მოამბე. 10.05 — ო. თაქთაქიშვილის პირველი სიმფონია. ასრულებს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს რ. ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი გ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით. 11.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ცენტრალური ტელევიზიის პროგრამით „ღელოს შემობრუნება" (მ.). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ღღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საგმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „პან კლიაქსას მოგზაურობა". II სერია „გამომგონებელთა კუნძული". 18.00 — კონცერტი. „თქვენთვის პატარებო". 18.25 — განცხადებები. 18.30 — საუბრები არქეოლოგიაზე (ციხისძირი). 18.50 — ხალხური შემოქმედება. „სამეჯნურო". 19.30 — მოამბე. 20.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა სომხეთი". სომხეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 22.55 — „სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე". მხატვრული ფილმი „არ დაიდარდო".

მეორე პროგრამა. 15.50 — სატელევიზიო დადგმა „ჩვენ, მამაკაცები". 18.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინჟინრები". 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წისქვილი". 19.15 — განცხადებები. 19.20 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 19.30 — მოამბე. 20.05 — „მუსიკის სამყაროში".

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". (მ.). 9.30 — მოამბე. 10.05 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ღღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საგმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ალმანზორის ბეჭდები". 17.30 — მოსწავლეთათვის. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის ეკრანი". ფილმ-ბალეტი „ეგრისეა" (ოდესის ტელევიზიის ნაწარმოები). 21.45 — „ხუთშაბათის წასაბაები". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე". მხატვრული ფილმი „ქერათმიანი ქალიშვილი მოსახვევში".

მეორე პროგრამა. 15.50 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „რამაიანა". 17.35 — მხატვრული ფილმი „მარტინი და ჯადოქარი". 18.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის პორტრეტი ტერიორნით". 19.25 — განცხადებები. 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საქმით დაამტკიცე". 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „იმერული ესკიზები".

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". (მ.). 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ღღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საგმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ალმანზორის ბეჭდები". 17.30 — მოსწავლეთათვის. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის ეკრანი". (კიევის პანტომიმის ბალეტთა თეატრი). 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — განცხადებები. 18.40 — ხალხური შემოქმედება. ანსამბლ „თაიგულის" კონცერტი. 19.00 — „კინოსახეები". შალვა ღამბაშიძე. 19.45 — ღღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. ფილმ-კონცერტი „სანამ სიყვარული სუფევს დედამიწაზე" (მინსკის ტელევიზიის ნაწარმოები). 21.50 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. დინეცკის „შახტიორი" — თბილისის „დინამო". (20 აგვისტოს შეხვედრის ვიდეოჩანაწერი). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.55 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „საგანგაშო გაფრენა".

მეორე პროგრამა. 16.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტყის ჯვებრი". 17.45 — მხატვრული ფილმი „მოკლე სახელოები". 19.00 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა „შეხვედრები არქეოლოგიაში" და „ბისკარი". 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ძვირფასო, საყვარელო, ერთადერთო!". 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა შინისაკენ".

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — ღღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — მულტიპლიკაციური ფილმი „ახლა ჩიტი გამოფრინდება". 10.30 — ხალხური შემოქმედება. „მეგობრობის კონცერტი". 11.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.50 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის ფესტივალი" (ოდესის ტელევიზიის პროგრამა). 12.50 — „შტრიხები პორტრეტისათვის". გ. შენგელაია. 14.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.20 — „ჯანმრთელობა". სატელევიზიო პროგრამა. 14.45 — კონცერტი. 15.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.35 — თბილისის მეორე სამუსიკო სასწავლებელში. 17.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.40 — ახალგაზრდობისათვის. „1+1" (მესამე გადაცემა). 18.25 — „მსოფლიო საოპერო ხელოვნების საგანძურიდან". ჯ. ვერდის ოპერა „ნაბუკო". 20.00 — მოამბე. 20.35 — ჯ. ვერდის ოპერა „ნაბუკო" (გაგრძელება). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — მხატვრული პროგრამა.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი" (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — ღღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებზე. 10.20 — „დილა მშვიდობისა". საკავირო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემ